# ე. წ. ლაპარაკის ნაწილის დავალებები
# (2026 წლის ივლისი)

## I დავალება.

**პირველი შეკითხვა.**

*თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რა აახლოებს ადამიანებს ერთმანეთთან?*

**მეორე შეკითხვა.**

*თქვენი აზრით, რამდენად აუცილებელია, რომ ადამიანს თავისი ძირითადი პროფესიის პარალელურად რამე ხელობაც ჰქონდეს?*

<u>**დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება**</u>**.**

## II დავალება.

*ზოგი პედაგოგი ფიქრობს, რომ დავალების გაკვეთილზე შესრულება საუკეთესო საშუალებაა მოსწავლის რეალური ცოდნის დასადგენად. ზოგს კი მიაჩნია, რომ ეს არ არის აუცილებელი, რადგანაც ამ აქტივობას დიდი დრო მიაქვს.*

*ისაუბრეთ, როგორია თქვენი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ.*

<u>**პასუხი დაასაბუთეთ**</u>**!**

## III დავალება.

**სიტუაცია:**

*თქვენმა ახალგზდა კოლეგამ შეამჩნია, რომ, როდესაც რომელიმე მოსწავლეს გაკვეთილს ეკითხება, ამ დროს კლასი პასიურია. მან გკითხათ რჩევა, როგორ მოიქცეს, რომ მასალის გამოკითხვა ყველასათვის საინტერესო და სახალისო იყოს.*

*გაუზიარეთ კოლეგას საკუთარი გამოცდილება და მიეცით შესაბამისი რჩევა.*

<u>**არგუმენტირებულად დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია**</u>**!**